საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-18/342
06/06/2019

342-შ-19-1-4-201906061231

შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებით ბარათში (Nშ-19-10-728; 06.05.2019) აღნიშნულია, რომ შპს „პოვერნეტს“, „შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებით დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია. კერძოდ, შპს „პოვერნეტს“ დავალებული ქონდა 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის და თებერვლის თვეების რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში. ასევე, შპს „პოვერნეტს“ დავალებული ქონდა რეგულირების საფასურის დავალიანების - 19.80 ლარის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში. მოხსენებით ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ კომპანიას არ წარმოუდგენია 2019 წლის მარტის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშებების 1.9 ფორმა.

კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივ ბარათში (N19-10-850, 24/05/2019) აღნიშნულია, რომ შპს „პოვერნეტს“ დღემდე, 2019 წლის 24 მაისამდე, არ წარმოუდგენია სტატისტიკური ანგარიშგების შესაბამისი ფორმები, მათ შორის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილებაში აღნიშნული მონაცემები (კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს „პოვერნეტს“ დაევალა 2018 წლის ოქტომბრიდან სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსება და კომისიაში წარმოდგენა 10 სამუშაო დღის ვადაში).

კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათის (Nშ-19-10-728; 06.05.2019) და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (N19-10-850, 24/05/2019) საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 2019 წლის 27 მაისს,

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, მის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო. საკითხის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 30 მაისს, რის თაობაზეც შპს „პოვერნეტს“ ეცნობა წერილობითი შეტყობინებით (Nგ-19-03/1475; 27.05.2019) და მოწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. შეტყობინებით, მას ასევე განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლება. კომისიის შეტყობინება (Nგ-19-03/1475; 27.05.2019) შპს „პოვერნეტს“ ვერ ჩაბარდა და გამოქვეყნდა საჯაროდ, კომისიის ვებგვერდზე (http://www.gncc.ge/ge/shetyobinebebi/shetyobineba-shps-povernets2.page).

კომისიის 2019 წლის 30 მაისის სხდომაზე შპს „პოვერნეტის“ წარმომადგენელი არ გამოცხადდა. შესაბამისად, საკითხის განხილვა გადადიდო და დაინიშნა 2019 წლის 6 ივნისს, 15 საათზე. აღნიშნულის თაობაზე შპს „პოვერნეტს“ ეცნობა კომისიის შეტყობინებით (Nგ-19-03/1619, 31/05/2019), რომელიც ასევე გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალური ვებგვერდზე (http://www.gncc.ge/ge/shetyobinebebi/shetyobineba-shps-povernets3.page).

კომისია აღნიშნავს, რომ საკითხის განხილვა კომისიაში გაიმართა კომისიის 2019 წლის 6 ივნისის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე არ გამოცხადებულა შპს „პოვერნეტის“ წარმომადგენელი. ვინაიდან, შპს „პოვერნეტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინების შინაარსი საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, კომისიის მიერ შესრულებული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნა დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმასთან დაკავშირებით და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის განხილვა შპს „პოვერნეტის“ დაუსწრებლად.

II. გამოკვლეული მტკიცებულებები

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (Nშ-19-10-728; 06.05.2019);
2. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-850, 24/05/2019);
3. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-847; 24.05.2019);
4. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-871, 27/05/2019);
5. კომისიის შეტყობინება (Nგ-19-03/1475; 27.05.2019) გაგზავნილი შპს „პოვერნეტისთვის“, რომელიც კომპანიის კომისიის სხდომაზე დასწრების უზრუნველყოფის მიზნით საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://www.gncc.ge/ge/shetyobinebebi/shetyobineba-shps-povernets2.page);
6. კომისიის შეტყობინება ((Nგ-19-03/1619, 31/05/2019) გაგზავნილი შპს „პოვერნეტისთვის“, რომელიც კომპანიის კომისიის სხდომაზე დასწრების უზრუნველყოფის მიზნით საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://www.gncc.ge/ge/shetyobinebebi/shetyobineba-shps-povernets3.page);
7. „შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილება;

8. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან შპს „პოვერნეტის“ შესახებ მონაცემები.

III. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს „პოვერნეტ“ 2015 წლის 30 ნოემბრიდან წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს (ავტორიზებული საქმიანობის სახე: A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა: რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა: პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; B.F.2 ინტერნეტ მომსახურება : WiFi);
2. შპს „პოვერნეტი“, როგორც ავტორიზებული პირი, ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;
3. 2019 წლის 6 მაისის მდგომარეობით შპს „პოვერნეტს“, კომისიაში არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და 2019 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშებების 1.9 ფორმა; ასევე არ ჩაურიცხავს რეგულირების საფასურის დავალიანება -19.80 ლარი;
4. 2019 წლის 24 მაისის მდგომარეობით შპს „პოვერნეტს“ კომისიაში არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;
5. „შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N 165/18 გადაწყვეტილებით შპს „პოვერნეტს“ მიეცა წერილობითი გაფრთხილება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და ლ) ქვეპუნქტების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების დარღვევის გამო; ამავე გადაწყვეტილების მე-2 პუქნტის თანახმად, შპს „პოვერნეტს“ დაევალა 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის და თებერვლის თვეების რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში; ხოლო, მე-3 პუქნტის თანახმად, შპს „პოვერნეტს“ დაევალა რეგულირების საფასურის დავალიანების - 19.80 ლარის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში; ასევე, მე-4 პუქნტის თანახმად, შპს „პოვერნეტს“ დაევალა 2018 წლის ოქტომბრის თვიდან სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსება და კომისიაში წარმოდგენა 10 სამუშაო დღის ვადაში;
6. გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მხარისათვის ჩაბარების უზრუნველყოფის მიზნით „შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N 165/18 გადაწყვეტილება 2019 წლის 16 აპრილს საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://www.gncc.ge/ge/shetyobinebebi/shetyobineba-shps-povernets1.page).

IV. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება

1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები, ხოლო ლ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია გადაიხადოს რეგულირების საფასური;
2. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეგულირების საფასურის ოდენობას შეადგენს, ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,75 პროცენტი. ავტორიზებული პირები ვალდებული არიან ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხონ რეგულირების საფასური;
3. „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესების შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების შესაბამისად, დადგენილია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირები და მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ამ დადგენილებით განსაზღვრული ფორმით (დანართი №1) ელექტრონულად, კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის (http://stats.gncc.ge) ფორმა 1.9-ის (რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმა) საშუალებით, წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია საანგარიშო თვის გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური;
4. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №421/19 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2011 წლის 25 მარტის №144/22 გადაწყვეტილების და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ დაადგინა ავტორიზებულ ან/და ლიცენზიის მფლობელ პირთა მიერ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსებისა და პერიოდულად კომისიაში წარმოდგენის ვალდებულება ახალი პირობებით, ასევე სტატისტიკური აგარიშგების ახალი ფორმები და გადაწყვიტა, რომ ყველა იმ პირს, ვისაც გავლილი აქვს ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობაზე ან მაუწყებლობაზე, ასევე ვინც ფლობს კომისიის მიერ გაცემულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ან მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ლიცენზიას, დაევალოთ ამ გადაწყვეტილების დანართი №1–ით განსაზღვრული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსება და კომისიაში წარმოდგენა, ამ ფორმებში მითითებული პერიოდულობით;
5. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის

დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არა უმეტეს 30000 ლარისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარმოუდგენლობით შპს „პოვერნეტის“ მხრიდან ადგილი აქვს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილებისა და „შპს „პოვერნეტისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის დარღვევას, ხოლო რეგულირების საფასურის გაანგარიშების წარმოუდგენლობით და რეგულირების საფასურის დავალიანების - 19.80 ლარის გადაუხდელობით - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და ლ) ქვეპუნქტებისა, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილებით განსაზღვრული პირობებისა და „შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტების დარღვევას, რაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცირების საფუძველს წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ „შპს „პოვერნეტისთავის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული (ანალოგიური) დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით მიეცა წერილობითი გაფრთხილება, ხოლო კომპანიამ, გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა დარღვევა და ანალოგიური დარღვევა ჩაიდინა, ასევე ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის არ შეუსრულებია მასზე დაკისრებული კანონისმიერი ვალდებულებები, მას, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უნდა დაეკისროს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, ვინაიდან, შპს „პოვერნეტის“ ბოლო 12 თვის შემოსავლის 0,5% არ აღემატება 3000 ლარს.

ამასთან, კომპანიას უნდა დაევალოს 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარმოდგენა, ასევე 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენა და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა, ასევე, რეგულირების საფასურის დავალიანების -19.80 ლარის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და ლ) ქვეპუნქტების, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ) ქვეპუნქტის, 95, 98-ე და 99-ე მუხლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის და 36-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესების შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილებისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შპს „პოვერნეტს" დაეკისროს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და ლ) ქვეპუნქტების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების მე-6 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილებისა და „შპს „პოვერნეტისათვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე" კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების დარღვევის გამო;
2. უზრუნველყოს შპს „პოვერნეტმა" წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის:

   ა) გადახდა 30 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

   ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის ნომერი - 200122900;

   ბანკი-სახელმწიფო ხაზინა; კოდი - TRESGE22;

   სახაზინო კოდი - 300773251;

   ბ) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის კომისიაში 3 დღის ვადაში წარმოდგენა;

3. უზრუნველყოს შპს „პოვერნეტმა" 10 სამუშაო დღის ვადაში 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარმოდგენა;
4. უზრუნველყოს შპს „პოვერნეტმა" 10 სამუშაო დღის ვადაში 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა;
5. უზრუნველყოს შპს „პოვერნეტმა" 10 სამაუშაო დღის ვადაში რეგულირების საფასურის დავალიანების -19.80 ლარის გადახდა;

6. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) გადაწყვეტილების შპს „პოვერნეტისთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება;
7. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (თ. გოშუა) შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მონაცემის კომისიის უწყებრივ რეესტრში შეტანა;
8. გადაწყვეტილება ძალაში შედის შპს „პოვერნეტისთვის“ ჩაბარების დღიდან;
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.; N6) გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;
10. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-6 და მე-7 პუნქტებისა) დაევალოთ კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი) და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს (ქ.რეხვიაშვილი);

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი